ხელშეკრულება **№97-ბ/15**

« 16 « ოქტომბერი 2015 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების დადების საფუძველი და მხარეების ზუსტი დასახელება

1.1 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N173 განკარგულების მე-3 პუნქტისა და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია" (მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნატალია ხომასურიძეს სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **შემსრულებელი/მიმწოდებელი**) ფ.პ „ზაზა ლომთაძე"-ს (მისამართი: ქ. თბილისი, პასტერის N5) სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა (CPV-71200000), კერძოდ სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (CPV- 71247000).

- შემსრულებელმა ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა უზრუნველყოს ობიექტის კერძოდ: ,,სოფელ ხვედურეთში სატუმბი სადგურის გარე ელმომარაგება" ტექნიკური ზედამხედველობა (მოხ. ბარათი Nშ-3259;)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 1000 (ერთიათასი) ლარი, მათ შორის სახელშეკრულებო ღირებულების საშემოსავლო თანხა - 200 (ორასი).

- შესრულებული მომსახურების საზღაური საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს ყოველ სრულ კალენდარულ თვეზე, ხოლო არასრულ თვეზე გაწეულ მომსახურებაზე მოხდება დღეების პროპორციულად გადაანგარიშება.

4.სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ტაშისკარი-სალთვისის სერვის ცენტრი.

5. მიღება ჩაბარების წესი და დაფინანსების წყარო

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ კომპანიის ტაშისკარი-სალთვისის სერვის ცენტრის უფროსი თენგიზ ჯაფარიძე და მთავარი ინჟინერი ჯემალ არხოშაშვილი.

5.3. დაფინასების წყაროა **სახელმწიფო ბიუჯეტი**

6.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. „მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის'' მოთხოვნებს.

6.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**

8.1.1 უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

8.1.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

8.2. **"შემსრულებელი" ვალდებულია:**

8.2.1. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

8.2.2. "შმსრულებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება;

9. მომსახურების სახეები და ანგარიშგება

9.1. **მომსახურების სახეები:**

9.1.1სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის, სარეაბილიტაციო სამუშაოების ვადების, ხარჯთაღრიცხვების და სპეციფიკაციების მოთხოვნების დასაცავად მშენებლობის ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს:

9.1.2 ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოების პროგრამის დაცვა-შესრულება;

9.1.3 სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური შემოწმება, აღრიცხვა, დაფიქსირება და ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტაციის შემოწმება;

9.1.4 კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა აქტის (ფორმა N2) დამოწმება;

9.1.5 საჭიროების შემთხვევაში საკამათო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა; იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც აღემატება ზედამხედველის უფლებებს, კომპანიის შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა;

9.1.6 შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების, ხარისხის და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება; კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა წარმოების პროგრამის და გრაფიკის დაცვაზე მეთვალყურეობა;

9.1.7 კონტრაქტორთან ერთად ფარული სამუშაოების აქტების შედგენა;

9.1.8 სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის ამსახველი ფოტომასალის მომზადება;

9.1.9 მეთვალყურეობა კონტრაქტორის მიერ მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობაზე და დროებითი შენობა-ნაგებობების სამუშაოთა წარმოების პროგრამის შესაბამისად განთავსებაზე;

9.1.10. კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული საშემსრულებლო ნახაზების შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის შემოწმება;

9.1.11 ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალის წარმოება, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ყოველდღიური აღნუსხვა.

9.2 **ანგარიშგება:**

9.2.1 ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება მომსახურებასთან ერთად მოიცავს ანგარიშგებას კომპანიის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოთა მიმდინარეობასა და ხარისხზე სრული დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

9.2.2 ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტორის მიერ დეტალური პროექტის და ტექნიკური სპეციფიკაციების მოთხოვნების მკაცრად დაცვა. პროექტიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპანიის ხელმძღვანელობას და მათთან შეთანხმებით დასახოს ღონისძიებები დეფექტების აღმოსაფხვრელად.

9.2.3 ზედამხედველმა უნდა წარუდგინოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურისახურს შემდეგი ანგარიშები:

9.2.4 საწყისი ანგარიში–საწყის ეტაპზე სამუშაოების მიმდინარეობის და ზედამხედველობის სამუშაო გეგმაში ცვლილებების მითითებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

9.2.5 პერიოდული ანგარიში (მოთხოვნის მიხედვით) – რომელშიც აისახება სამუშაოების მიმდინარეობა განვლილ პერიოდში და ცვლილებები სამუშაო გეგმაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

10.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვევულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 16 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ნოებრამდე.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

14.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

14.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14.4 ხელშეკრულების „14.1." პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომპანიის ტაშისკარი-სალთვისის სერვის ცენტრის უფროსი თენგიზ ჯაფარიძე და მთავარი ინჟინერი ჯემალ არხოშაშვილი.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

15.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) თანაბარმნიშვნელოვან იდენტურ ეგზემპლარად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: შპს ,,საქართველოს მელიორაცია"

გენერალური დირექტორი მ/შ

ნატალია ხომასურიძე

(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის ბანკი: ს.ს ,,საქართველოს ბანკი"

კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: № GE58BG0000000182323100

საინდენტიფიკაციო კოდი: 204524568

შემსრულებელი: ფიზიკური პირი

ზაზა ლომთაძე

(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა ----------

საბანკო რეკვიზიტები

მომწოდებლის ბანკი: ს/ს ,,თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი

კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: № GE38TB7254345068100002

პირადი №01030029683